

619
1997

საქართველოს
განათლების
მინისტრო



ბრძანება

1-2

1997

11
95



რობერტ სტურუას

გენიალური რეჟისორია,
დაუდგრომელი პროგრესისტია..
სპექტაკლებით სცემს რობერტ
სტურუა
პასუხს ოპონენტ-რობესპიერებს!



ჯანსუღ ჩარკვიანს

ერისკაცობის, ლექსის ნატურისზე,
გაქე, გადიღე! გაქე, გადიღე!
თუ ვილაღატო, ჯანსუღ ადიღებე,
ლიკვიდაცია მიყავ ადიღზე!



**ბრიტოლ (ბიბა)
ლორთქიფანიძე**

ღმერთიც ამაჟობს, ღმერთმანი,
ლორთქიფანიძე ვიგათი —
ქართული სცენა-ეკრანის
და პარლამენტის გიგანტით!



ბიორგი ნუბინაშვილს

ბატონო ჩუბინაშვილო,
აღმშენებლო გიორგი,
ჯანმრთელობით ვერ გაჯობებს
ვერც ერთი ნაღდი იოგი.
თუმც კაცმა ჯერაც არ იცის
სევდას და ნაღველს
ვინ მოგვგვის.

სადაღობო სტიქიკონები

თბილისის საპატო მთქალქექებს


ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო
სამხატვრო ჟურნალი

დროება

შინაარსი

ზიზა ბათიაშვილს

ძვირფასო არქიტექტორო,
ბათიაშვილო გიგაო,
შენ ძველსძველი ტიფლისის
გალავიშავე „კნიგაო“,
ახალი სახლი დაეწერეს,
ვინც შენ ძველ სახლში გიგანოს.



ბიძინა კვერნაძეს

საგზაო ოქროსითხოთი
ბრძენი ბიძინა კვერნაძე —
პრწყინუაღე კომპოზიტორი,
ენაკვიმატიც, ენაშხეც!




აკაკი (კაკო) კიმიძურს

გუინთხარ, როგორც თაყულის
სანთელი,
ჩვენს დიდ კულტურას ამშვენებ,
ამკობ..
„შორს გაუარდნილა შენი ხახული,
ბავშვამც კი იციხ, ვინ არის კაკო!“



კობე მახარაძეს

სიკვილის ხძლევს, სიკვილის
ამარცხებს
გული ბატონი კოტეხი..
ვინც კოტეს პატეხს არა ხცემს,
იმას — სახტიკი პროტესტი!



მეგობრული შარყები
უნიკიზ გოგოლაძისა

ჯანსუღ ჩარკვიანი, ძალა მრ-
თობაშია.

ლაღო სასათიანი. საახალწლო
(ლექსი).

საქართველოს მთავრობის
გაფართოვებული სხდომაი-
დან.

ისტორიული მინიშნელო-
ვის გოვლევა.

თემურ ჯაგოღნიშვილი.
როგორ ხვდებოდნენ შობა-
ახალ წელს ჩვენში.

გიორგი გოგოლაშვილი.
ფიქრები დედანის შინა-
სახ.

ივა ცხადაძე. ჯულა.
ბაჩანა ბრეგვაძე. ბლუხ
კასკალი.

პავლე ზავზავაძე. დღერთი აღ-
არაფერს გიწუალდებთ.

ბულნარა ბახტაძე. ხენდრო,
ნათელა შრუშაძე. მადეა ჩა-
ხაძე.

მეზარ კვიტიანიშვილი. ლექ-
სები.

ანწორ აბანადაძე. დამოუ-
რი სამსახური.

უილიამ სარკიანი. ფორთო-
ხლები (ნოველა).

გაგუკა ცეცხლაძე. რანუ-
რანუნი აინა.

ამგაბი, ამგაბი, ამგაბი...
გი ბებოძონი. ვითარცა რქი-
ანმა.

მარიკა ხუბულა. მოცარტის
ქართველი და.

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი—თამაგლომარა,

ბულნარა ბახტაძე—კასუხინიშვილი
რედაქტორი, ვანილ ზვამაძე, ნატა
თათარაშვილი, ზურაბ კვანტორიშვი-
ლი, თამო ნინიძე, დინარა ნოდია
(მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენ-
გულაძი, ზურაბ წაჩთელი, თამაგ
ბირაძე.

კაც ქვეყანაში

ჯანსუღ ჩარამიანი

● ახლა ტირილისა და ღიჭინის დრო არაა, ახლა სიკეთის დროა, ახლა ბატონო, არს ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა, ჟამი ქვათა შეგროვებისა და ჟამი ქვათა სროლისა, მშობარა კაცი ვერ გაიმარჯვებს, ვერც ბოროტი, უნდა შევედუთ — ღამეა და დღეა, კეთილია და ბოროტია, ცა და მიწაა, ცოდვა-მადლისა ეს ცხოვრება...

მაშ სადაა ნუგეში? სადაა და ერთმანეთის სიყვარულშია დამარხული, სადაა და გენიოსთა ფიქრში და შეგონებაში კეთილმა სძლია ბოროტსა... ჩვენსავით ბევრს უჭირს ამ ღუნიაზე, ჩვენზე უარესადაც არიან, მაგრამ ერთმანეთი უყვართ და იმარჯვებენ, ერთმანეთს კი არ ესვრიან, არამედ ძმისაკენ მოქნეულ ხმაღს შეკრდს უგებებენ.

აღამიანებო, დავიბრუნოთ ერთმანეთი და მტკაველი მიწაც არ დაგვრჩება დაუბრუნებელი.

1996 წელი 1997 წლისათვის შემძახებელი წელია, ბევრი რამ ხმამაღლა ითქვა. მე მწამს და მეჯერა, რომ მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველო იპოვნის თავის ადგილს.

საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ საახალწლო მიმართვაში თქვა: „რით იყო ჩვენთვის აღსანიშნავი 1996 წელი? ეს იყო საყოველთაო ქაოსისა და განუკითხაობის საბოლოოდ დამთავრების, ქვეყნის სტაბილურობის ფაზაში შესვლის, სახელმწიფოებრიობის ფორმირების, კონსტიტუციის რეალურად ამოქმედების ისტორიული წელიწადი“.

ცოტაა? არა, ბატონებო, ჩვენს მღვდმარეობაში იყოფთათვის ძალიან ბევრია... მტკიცდება ქვეყნის სამართლებრივი ბაზა, ახლა მთავარია, ცოტა რამ ჩვენც დავიჯეროთ, სილო შოგიერთთა გასაკონად ვიტყვი — თუ ხელს არ შეგვიწვივობთ, ხელს მაინც ნუ შეგვიშლით.

ბოროტებას ქვეყანა არ აუშენებია, ქვეყანას სიკეთე აშენებს...

რასაც ვამბობ, იქნებ არც იგოს ნაყოფი ანალიტიკური გონებისა, იქნებ, საახალწლო საღვკერძლოს უფრო ჰგავს, ვიდრე საპრეზიდენტო პროგრამიდან გამომდინარე სიტყვას, მაგრამ ფიქრის შედეგი რომ არის, წყალი არ გაუვა.

ჩვენ ყველას ერთნაირად გეიყვარს ჩვენი ბედკრული საქართველო, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, საქართველო არც მხოლოდ მთებია და არც ღამაში მდინარეები, საქართველო მხოლოდ გენიალური არქიტექტურა არ გახლავთ, საქართველო ჩვენა ვართ, ადამიანები, და თუ ჩვენ ერთმანეთს ხელი ვკარით და ერთმანეთს ზურგი ვაქციეთ, მტერს დარჩება ჩვენი მთაცა და ზღვაც, ჩვენი ტაძარიცა და მთელი ჩვენი ისტორია.

სიყვარული ავგამადლებს, სიყვარული ავგაშენებს, სიყვარულით ვაჯობებთ მტერს.

2000 წლისათვის საქართველო საქვეყნო იზეიმებს დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლის იუბილეს.

შენ გაგიმარჯოს, ქართველო ხალხო!

ვაშა საქართველოს და მარადის, ვეველგან და ყოველთვის „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ზიდად“.

მე მეჯერა 1997 წლისა, მე მეჯერა ქართველი ხალხისა, საქართველო გაიმარჯვებს! საქართველოს მაინც ვერაფერს დააკლებს ვერც დიდი მტერი და ვერც პატარა!

მთავარია, ერთად ვიყოთ. ჩვენი ბევრობა ჩვენს ერთობაშია, დიას, „ერთობაში“ ერთი-ღმერთია, ღმერთი შევეწიოს ღვთისმშობლისწილ საქართველოს!

ღადო ასათიანი

საახალწლო

ხანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოღები,
ყოველ ახალ წელიწადს მარად მომაგონდები,

შორი გზიდან მოსული, მამა-პაპის ჯილაგი –
უცხოდ განათებული პატარა ჩინილაკი.

უცხოდ განათებული, სხვაზე არ გასაცვალი:
მწიანე სუროს ფოთოლი... კურკანტელას მარცვალი.

უზარმაზარ ოღაში მუხის ცეცხლი გუგუნებს,
ბავშვი გაოცებული მხოლოდ შენ შემოგვეურებ.

ღგახარ დამშვენებული ქამარ-ხანჯალ-ყაწით,
როგორც თეთრნოხიანი იმერელი ყმაწვილი.

ფონიანი კანფეტის ზედ გასხია მასხრებად,
აღბათ, ცაში თუ მოხდა შენი გაღამაზება!

უზარმაზარ ოღაში მუხის ცეცხლი ჩახნახებს,
ძველი „მრავალქამიერ“ აღებს ყველა გასაღებს.

შე-ხან პაპის წვერს ვუშვებ, ხან შენ გიმზერ, ჩინილაკს,
და ვიღვრები ბინულის ნაკადივით სიცილად.

სულაც ვერ გამოვია, რა მასხარებს, რას ველი...
ახე თვალგაურყვნელი, სიხარულით თვალსველი

მხოლოდ შენ შემოგცქერი, შენი შუქის მჯერა მე,
შორი გზიდან მოსული, ვარსკვლავეთის მცენარეე!

ხანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოღები,
ყოველ ახალწელიწადს მარად მომაგონდები!



1997—

მეზიდობისა და სიმეგრულის

წელია

საპრემიუმო
ბროზის
ბიბლიოთეკა



საქართველოს მთავრობის გაფართოებული

სსდომიდან.

ამას აბოვებს საქართველოს

გენერალური პროკურორი

ჯამლათ ბაბილაშვილი



● პოლიციაში, ვითომდა გადაუდებელი ოპერატიული საჭიროების გამო, სასამართლოს ნებართვის გარეშე ხდება მოქალაქეთა ბინების უკანონოდ ჩხრეკა, ეჭვმიტანილთა უკანონოდ დაკავება, ცემა-წამება და სხვა შემთხვევები, რასაც ზოგჯერ ადამიანთა სიკვდილიც კი მოსდევს.

ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები არის თვით პროკურატურის სისტემაშიც, რომელსაც სამსახურებრივად ევალება სწვევა აკონტროლოს და სამაგალითო იყოს ამ მიმართებით. განსაკუთრებით აღენიშნავდა ისეთ შემთხვევებს, როგორცაა მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება — დაპატიმრება, უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებამი მიცემა და სხვ.

ბათ ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში კანონი „დაპატიმრების სანქციების სასამართლოში გასაჩივრების შესახებ“ დამატებითი გარანტიას უუცინა და მოძალადე მუშაკებისაგან მოქალაქის დასაცავად.

სიფრთხილეს თავი

არ სტკივა

შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა ინიციატივით დააპატიმრეს საშიშ დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებსაც ახალი ტერორისტული აქტების ჩადენა ჰქონდათ განზრახული. შემსრულებლებად გათვალისწინებული იყო უშიშროების სპეცრაზმის ყოფილი ორი ოფიცერი ივორ გიორგაძის გარემოცვიდან, რომლებიც ადრე იძებნებოდნენ სხვადასხვა მიმე დასაშაული სათვის. ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემოსულები იყვნენ საქართველოში და იმდებოდნენ თბილისის შემოგარენში. დაპატიმრებულთა შორის არიან საქართველოს სპეცსამსახურის სხვა მუშაკებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, კვლავ ყოფილი შვეიცის ერთგულები დარჩნენ. დამნაშავეებს ჩამოერთვათ დიდძალი ავტორიტეტი იარაღი, საბრძოლო მასალა და სხვა სპეცალკურებილობა.

ნი მზად არის ახალი ძალითა და ენერგიით ემსახუროს სამშობლოს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანოს საქართველოში ზნეობის, სამართლიანობისა და წესრიგის დამკვიდრებისათვის.

ენერალთა

კაპურიის

თავაჯდომარე

ბურამ ფანჯიშიძე

● სულით ზორცამდე შექმარწუნა პრეზიდენტის გამოსვლამ. რასაკვირველია, ბევრი რამ ჩვენც ვიცოდით, რასაკვირველია, საქმეშიც ღრმად ვართ ჩახედული, მაგრამ სიტუაციის ასე მთლიანობაში გააანალიზება მართლაც რომ თავიარს დამცა.

თუ გუშინდელ სიტუაციას გავისხენებთ, უსამართლობა და სიბრმავე იქნება არ დავინახოთ, რამოდენა ნაბიჯებია წინ გადადგმული. არ უნდა დაგვაიწყდეს მხედრიონისა თუ ათასი ბანდიტური ჯგუფის თარეში, არ უნდა დაგვაიწყდეს დღისით — მზისით მკვეთრობები, მარცვა — გულჯა, ადამიანებისა თუ მანქანების გატაცება.

გენერალური

პროკურორი

ანასაც ამბობს

უნდა დავადასტურო, რომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობა გაგებით ეკიდება ამ საკითხებს და ხშირად პირადად იჩენს ინიციატივას დამრღვევთა მხილებასა და მასალების პროკურატურისათვის გადაცემაში.

● ყველამ უნდა ვააცნობიეროს, რომ დრო შეიცვალა, მიკვლევით უმ გამომიება ცემა-ტყევიტ დღეს ფონს ველარ გავა. საჭიროა მეტი კომპეტენტურობა, მინდობილი საქმის ერთგული და პროფესიული ნაეუაგვარეობა ნუ დაგვაიწყდებ-

იმედი

მინდა ვადმოვცეთ პროკურატურის მუშაკთა განწყობა და დავარწმუნოთ, რომ ყოველი ჩვენთაგან-

ლიახ, გულბერყვილოდ მეგონა — მეოქი, დამოუკიდებლობას რომ მოვიაოვებდით, პირველ რიგში სწორედ ჩვენი მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღზევებისათვის ვიპრობებდით, სწორედ ჩვენი ეროვნული სულისა და ინტელექტის გაძლიერება — წარმოჩენისათვის დავებდით თავს!

სამწუხაროდ, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, საბაზრო ეკონომიკამ გამოუცდელი ხალხი დააბნია. თითქოს გამოჩნდა გამდიდრების იოლი გზები. სწორედ გამდიდრების სურვილმა ხალხს თავგზა აუხნია. დაიკარგა ეროვნული, სულიერი და ზნეობრივი ორიენტირები. უმთავრეს ორიენტირად იქცა დოლარი და მისი მოპოვების არა პატიოსანი, არამედ ნებისმიერი უკეთური გზები. გამდიდრების ცივ-ცივებულამ ბევრი ტრაგედია დაატრიალა, უამრავი ოჯახი აიყარა და საქართველოდან გადაიხვეწა. ბევრიც ვალის დასფარავად იძულებული გახდა მოსკოვში საკუთარი თავი ან თირკმელი გაეცინა. ბევრს, კიდევ უარესი, თავი მოიკლა, ბევრი კი გამოასახლეს სიცოცხლეს.

ბანდიტებისა და ქურდებისაგან გაწამებული ხალხს არც სახელმწიფომ დააკლო ხელი, ჯერ იყო ხალხს შავი დღისათვის შემნახველ საღაროებში შეტანილი ფული წაართვეს. შემდეგ, მთელი სახელმწიფო ორგანოების თვალწინ კომერციულმა ბანკებმა ხალხს ცხრაპირი ტყავი გააძვრეს. ხოლო არ სიტუაცია იმ ორგანოებში, საქართველოში სამართლიანობისა და წესრიგის დაცვა რომ ევალებათ, ქვემოთ მოვახსენებთ...

დღეს ადმინისტრაციულ და სამართალდამცვე ორგანოებთანაა შეხვედრა. სწორედ ისინი არიან ქვეყანაში ის წარმმართველი ძალა, რომლებმაც პირველ რიგში უნდა იბრძოლონ ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. აქ მათ ნაკლოვანებებზეც და მიდევნებზეც საკმაოდ იყო საუბარი და მე საიტყავს აღარ გაავარძლებ. ოღონდ ბატონ პრეზიდენტს მინდა

გადავცე ხალხის დანაბარები. ხალხი მოითხოვს შეიქმნას მიუკერძოებელი და კომპეტენტური კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის:

1. ვინ უფრო ძარცვავს ხალხს, ბიროტმპიქმედი თუ ადმინისტრაციული ორგანოების მრავალი წარმომადგენელი.

2. შეისწავლოს, ვინ ზის დღეს ციხეში, ვინ არიან ან რა შესაძლებლობის არიან მათი მშობლები. ვინ არიან იმ მკვლელების მშობლები, რომელთა შვილები უმძიმესი დანაშაულების ჩადენის შემდეგ მაქსიმუმ ერთ წელიწადში კვლავ ქუჩაში რომ დასერიანოზენ და დანაშაულს დანაშაულზე სჩადიან.

3. ვაგვეცენ პირდაპირი პასუხი; შესწევს თუ არა უნარი სახელმწიფოს, მოერიოს ევრთწოდებულ „სამძიებს“, როგორ ხდება, რომ „სამძიებს“ დააბეზინებულნი წევრები კვლავ ქუჩაში არიან და კვლავ აგრძელებენ ხიცკვა-ჟღეჭას. სხვადა ბევრი რამ დანაბარებს, მაგრამ, ამჯერად, ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

ბატონი პრეზიდენტო!

კიდევ ერთ მოვლენაზე მინდა გავაბახვილო თქვენი და მიუვლი საზოგადოების ყურადღება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ანტისტენი ჩვენს წელთაღრიცხვა-მდე IV საუკუნეში ამბობდა, სახელმწიფოებში მაშინ იღუპებიან, როცა კარგ ადამიანებს ტუღისაგან ვერ არჩევენ.

ჩემის აზრით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პატიოსან ადამიანს, საერთოდ პატიოსნებას. როგორც ყოველთვის კარგს, პატიოსნებასაც სჭირდება წაქეზება და ჯიღლი. რასაკვირველია, ჯიღლიში მორალური ჯიღლი იგულისხმება.

ახლა მთავარია, ერი გამოავხიხლოთ, ხალხს, მათ შორის კორუპტირებულებსაც დაუანახოთ, რომ კორუფცია და დუხჯილობა არამარტო აჭაობებს ჩვენს სულსა და გონებას, არამედ ღუპავს საზოგადოებას, ღუპავს სამშობლოს. რასაც გაუძლებს დიდი სახელმწიფო, მას ვერ გაუძლებს პატარა ქართველი ერი. დიდი ხანია ხოთითებს ჩასოფრებული მტერი. ეირონოესკი უკვე შვიდი წლის მანძილზე გვიბრდება საქართველოს მიწების გადანაწილებას მეზობელ სახელმწიფოებზე. ფულთი გაქსუ-



ბული ადამიანები ვერ გრძნობენ, გაუძამდრობით და ბინძური მანიაჟლაკიებით შევიღებისა და შევიღიშვიღებისათვის მოპოვებულ ფულს სამშობლოს გაყიდვის ფასად რომ შოულობენ. შეზე და ვის უყიდიან სამშობლოს? თავის-სავე შვილებს და შვილიშვილებს.

პირადად მე მექმნება ძალზე რეალური შთაბეჭდილება, რომ ქართველმა ერმა დაკარგა ეროვნული თავმოყვარეობა. ერთხელ კამათი გვექონდა, შევარდნაძე უფრო ძლიერი პირივინაა თუ ქლინთონი — თქო. ამის თაობაზე ბატონ ელუარდს რომ უკამბე, ჩვეული იუპორით თქვა, მომეცით ამერიკა და მეზე დაგანახებთ, ვინ უფრო ძლიერიია.

ბატონი ელუარდ! თქვენ ცხოვრების ისეთი გზა თაკრეთ, დამოუკიდებელ საქართველოშიც ისეთი პრობლემები მოავგარეთ, ყველას ვჯვავრა, რომ კვლავაც ძველებურად გაგვიძიებოთ წინ, თქვენ შეგწივთ საოცარი უნარი, ერის გონების ფოკუსში მოაქციეთ ყველა საკვანძო პრობლემა, ნათლად გამოკვეთოთ სამოქმედო გეგმა. ერთხელ მე ვწერდი, ელუარდ შევარდნაძე არასდროს არ ჩქარობს და არც არასდროს აგვიანებს-მეთქი. პრობლემა თუ თორმეტ საათზე უნდა გადაჭრას, ზუსტად თორმეტ საათზე გადაჭრის, არცერთი წუთით ადრე და არცერთი წუთით გვიან. ბატონი ელუარდ! ვფიქრობ, უკვე მოახლოვდა 12 საათი.

ისტორიული ენიშვნალოზის მოკლენა



● — ბატონო ლევან, ენის სახელმწიფო პალატის შექმნა, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ეროვნული მთლიანობის აღდგენისა და სუვერენიტეტის განმტკიცების ურთულეს ეტაპზე. იქნებ რამდენიმე სიტყვა გოქვათ პალატის დანიშნულების შესახებ?

— 1997 წლის 22 იანვარს საქართველოს მთავრობის სხდომაზე ენის სახელმწიფო პალატის შექმნასთან დაკავშირებით თავის შემაჯამებელ გამოსვლაში პრეზიდენტმა პალატის დაფუძნებას ჩვენი ერისათვის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი უწოდა და დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი შეფასება ოდნავადაც არ არის ცდა-ჭარბებული.

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სათავეში უდგას საქართველოს პრეზიდენტი, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლება სახელმწიფო ენის მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე ზრუნვას. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვერანაირი კომისია, რომელიც მისი დანიშნულების სპეციფიური ხასიათის კვალობაზე, უკეთეს შემთხვევაში, 3-4 თვეში ერთხელ იკრიბება, თავს ვერ გართმევს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის, მიღებული სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების, ენის პრაქტიკული გამოყენების სფეროში არსებული ქაოსის მოწესრიგების საქმეს, რამდენადაც თითოეული აქ ჩამოთვლილი და მათ გარდა უპირავი სხვა პრობლემის მოგვარება ითხოვს ყოველდღიურ, მისანმიმართულ საქმიანობას და ზოგჯერ უკომპრომისო ბრძოლასაც კი, ბრძოლას, ჩვენდა სამწუ-

ხაროდ, საკმაოდ მეარად ფესვაღმდებული წამბამელობის, დაუღვრობის, უწიენურობის და ბევრი სხვა ანალოგიური მანკიერების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამგვარ ფუნქციებს მუდმივი სახელმწიფო კომისია ვერ იკისრებდა, რამაც წარმოშვა აუცილებლობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნისა.

ენის სახელმწიფო პალატის ფუნქციები და უფლება-მოსილებანი ჩამოყალიბებულია მის დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. პალატა ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გახლავთ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სპეკვეუწყებო აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ხელს შეუწყობს, ზოგჯერ წარმართავს კიდევ, სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის განხორციელების პროცესს, მოამზადებს საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომებს, მაკარად გააკონტროლებს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს შესაბამისი კანონ-პროექტების მომზადებაში, რომელთა გარეშე ენობრივი საკითხების მოწესრიგების მცდელობა უპერსპექტივოდ მიმდინარეობს.

უშთავრეში მაინც ის არის, რომ საქმე დაიწყო და სამომავლოდ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შევძლებთ, გაეაროთთ თავი დაცისრებულ მძიმე, მაგრამ დიდად საბატო მოვალეობას. მეტის თქმაც საქმე ანუ სხვაგვარად, მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ჯერ შემდეგ გაკვიდეს და მასზე ლაპარაკს, იმედია, ყოველთვის მოვახერხებთ.

● — ქართული ენის ხიწმინდის დაცვისათვის ერთ-ერთ უკომპრომისო მებრძოლს და ქომაგს კიდე ერთი პლატფორმა შეგექმნათ მეტად კეთილშობილური და მაღალმწიფობრივი მისიის განსახორციელებლად. და მაინც მათხვალს შევასწნოთ, საიდან მოიღის ამ საბატო და საპასუხისმგებლო პოსტამდე განვლილი გზა?

— თუ მივიხვდით, თქვენ გსურთ, მკითხველს მოეუთხრო ჩემ მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის შესახებ? თუ მხოლოდ ის გაინტერესებთ, სად დაიწყო ენის გზა? — ამაზე იოლად ვიპასუხებ: — ენის გზა სამეგრელოს ერთი მშვენიერი სოფლის — ახალი ხიბულის ორღობებში დაიწყო და 1957-67 წლებში მისი სიგრძე ერთ კილომეტრს ცოტათი აღემატებოდა. მე ვვულოდ ის მოხალისეობა, ცხადია, მანძილს პაპისეული სახლობიდან სოფლის საშუალო სკოლაში; ფილოლოგიის ოჯახში გავიზარდე. მამა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო (გარდაიცვალა 1992 წელს), დედა — ქართული ენისა და ლიტერატურის (ამჟამად ჰენსიანზე და შვილიშვილს ზრდის). დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, ცოტა მოგვიანებით კი (1987 წ) — თბი-



ლისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიკური ინსტიტუტი ფრანგული ენის სპეციალიზით. 1978 წელს დაეცა იანაკანდიტო დისერტაცია. 1977 წლიდან ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მისი იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში, ამ განყოფილებას დაარსებიდან ვარდაცვალებამდე (1985) ბატონი არჩილ ჩიქობავა ხელმძღვანელობდა და მასთან ურთიერთობა ჩვენივით — მის მიწაფეთათვის დიდი სკოლა იყო. თავად განსაჯეთ, ფილოლოგ-კავკასიოლოგთა თბილისური სკოლა გაიარა თითქმის ყველა ჩრდილოეთკავკასიელმა ლინგვისტმა, იქნება ის დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ჩერქეზი, აბაზადი, აბაზა თუ სხვა, რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზებზე;

1979 წლიდან ვთანამშრომლობ საქართველოს ტელევიზიასთან, სადაც ვუძღვებდი „მოამბის“ ყოველკვირულ რუბრიკას („ნა დადგა ერისა“). 1992 წლის იანვარში დავინიშნე საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის (მაშინ ასე იწოდებოდა) თავმჯდომარის მოადგილედ; ჩვეულებრივ, თანამდებობებზე კიბზე ქვემოდას შევითქენ ადამიანს, მე კი ამ მხრივაც გამორჩეული ხვედრი მერგო და, რაკ პირდაპირ ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე აღმოჩნდი (თავმჯდომარის მოადგილე გახვდი), ნელ-ნელა მომიჩინა „მირს ჩამოსვლამ“, ზოგჯერ ჩემივე სურვილითა და „ბრალით“, ზოგჯერაც სხვებითა „მზარდაჭერით“, მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება აქ ნაშვლიად არ დის. მთავარია ფაქტი — ამჟამად ვარ შემოქმედებითი გაერთიანება „კავკასიის“ კომენტატორი და ქ. თბილისის მერიასთან შარშან შექმნილი სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქალაქგაერთიანების სახელმძღვანელო სამსახურის უფროსი; მართალია, ეს სამსახური პალატის შექმნამდე ჩამოყალიბდა, მაგრამ ამერიიდან იგი გაჩაღდა ენის სახელმწიფო პალატის თბილისის მუნიციპალური სამსახური და ანალოგიური სტრუქტურები შეიქმნება მთელ საქართველოში (იმედი მაქვს — აფხაზეთსა და ოსეთშიც.)

ენის სახელმწიფო პალატის კონცეფცია ამ ორიოდე წლის წინ გამოქვეყნდა გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ პირველ ნომერში, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ბატონი ნუგზარ ფოფხაძე. ამჟამად სახელმწიფო სამსახურის შექმნის იდეა ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებასა და სახელმწიფო დაწესებულებათა მხრიდან, რაც დაასრულდა ენის სახელმწიფო პალატის შექმნით.

● — როგორი იქნება თქვენი მუშაობის დასაწყისი?

— ძნელი და საპატიო. უფრო კონკრეტულად კი... ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ენის სახელმწიფო პალატის შექმნის შესახებ და დანიშნულია პალატის თავმჯდომარე. ყველაფერი დანარჩენი აწი უნდა გაკეთდეს. გამოსავალია სამუშაო ფართობი, შესაძენია ტექნიკური აღჭურვილობა, მოსაგარეებელია ფინანსური საკითხები და ა. შ.

ერთი გაა, რომ მერიაში შექმნილმა სამსახურმა შესაძლებლობა მოგვცა, მიგველო საკმაო გამოცდილება, დაგვენახა პრიბლემები, დაგვენახა მათი მოგარების გზები. ერთი სიტყვით, პალატის ჩამოყალიბების მთლად ცარიელ ადგილზე არ ვიწყებთ. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ და ვნახთ, რა გამოვა. თუ პალატის თავმჯდომარემ ან სხვა მუშაკმა საქმეს თავი ვერ მოაბა, უკეთესი შემცვლელიც მოიძებნება, მთავარია, რომ საქმე დაიძარ და მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

ესაუბრა ნუშა კახიიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის შექმნის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის, ენობრივ ურთიერთობათა სფეროებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობის უკეთესი ორგანიზების მიზნით:

1. შექმნას საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა.
2. ენის სახელმწიფო პალატის ცენტრალური აპარატი განისაზღვროს 20 სამსახური ერთეულით (ტექნიკური პერსონალის ჩათვლით).
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) ენის სახელმწიფო პალატის შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები გათვალისწინოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. დაევალით საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურსა (ი. ანდროიძე) და ქ. თბილისის მერიას (ბ. შოშიტაიშვილი) ენის სახელმწიფო პალატის შესაბამისი სამუშაო ფართობითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.
5. ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ ორ კვირისა წარმოადგინოს დასამტკიცებლად:
 - ა) ენის სახელმწიფო პალატის დებულება.
 - ბ) ენის სახელმწიფო პალატის სტრუქტურა.
 - გ) ენის სახელმწიფო პალატის ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

დაევალით მხარველობის ადგილობრივ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამისი რეკონალური სტრუქტურების შექმნით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ენის სახელმწიფო პალატის საქმიანობას.

7. ენის სახელმწიფო პალატის რეკონალური ქვედანაყოფები ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით (ორმაგი დაქვემდებარების წესით).

ი. შვეპარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

ლევან ღვინჯილიას საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარედ დანიშნის შესახებ

დაინიშნოს ლევან ღვინჯილია საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარედ.

ი. შვეპარდნაძე

როგორ სვდებოდნენ

შოგა-სხალ ნაღს ჩვენში

●ახალი წელიწადი ძველად საქართველოში განსაკუთრებით აღინიშნებოდა. ქართველი კაცი დიდი იმედით ეგებებოდა მას. ყველა აურსულბედელ ოცნებას ახალ წელს „გადაულოცავდა“ და მაკვორ ქმედებათა ქაღალსური ძალით წარმოაჩენდა სასურველის ხილულ შინაარსს.

ძველ მართლწმი სახალწლო შაჰდახას ადრევე იწყებდნენ. დაიკვლებოდა საკლავი, გამოადგებოდა სურსათ-სანოვანე. ახალი წლის წინა დღეს დილადარიანად დაიწყებოდა ბედის პურების ცხობა. თონეში ჯერ ერთ დიდ პურს ჩაყრავდნენ, შუაში ჩაიხის ჩაურტობდნენ. ეს ორჯანის პური იყო. შემდეგ იმდენ პურს მიჰყოლებდნენ, რამდენი წევრს იყო ოჯახში. ამ პურებსაც შუაში ჩაიხივები ჰქონდა დაყოლებული. თუ რომელიმეს სახელზე ჩაყრული პური ჩავარდებოდა, ის შეშინებულად პურს საფრთხედ დაუჭრებულად ოჯახის წევრის სახელზე ხელახლა ჩაყრავდნენ. თუ პური დაღებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის ავად გახდებოდა და მორჩებოდა, თუ განწმორებითაც ჩავარდებოდა; სიკვდილი გარდაუვალად მიიჩნეოდა.

ბედის პურებს კიდობანში ჩაწყობდნენ და ახალ წელს ოჯახის ყველა წევრი თავის პურს გატებდნენ.

გარდა ამისა, აცხობდნენ ერთ დიდ „ურტუხ-წიწილა პურს“. ამ პურს შუაშიც ჩაიხივები ეხვა (ეს კრუხი იყო) და გარშემოც (თითო-თითო ჩაიხი წრიულად — ეს წიწილობა იყო). ყმაწვილობისათვის მკვლავე ჩამოსახამელ კვერბებს აცხობდნენ. ამ კვერბებს წყალკურთხევა დღეს წელის კურთხევაზე წაიღებდნენ მკვლავებზე აცხობდნენ და სახელს დაბარუნებულები გასტებდნენ და შეიპყრებდნენ.

ახალი წლის შესახებდრად აშაღებდნენ ხახალს. მასზე დადებდნენ ღორის თავს, „ცივილ მოხარულ“ დედალს, ხილს, თეთრთ გონიანყს, გვერდით დვინოს და ჩარქვა აჩაყს მიუღებდნენ. მოაშაღებდნენ დიდ ქაბს, შინ ჩაახამდნენ წყალს, დვინოს, თაფლს, ჩაიხისდნენ პურის დიდ ნატებებს და უკვე ახალწლის ღამეს იმავე ხახალზე დადებდნენ.

კრახზე დიდ ცეცხლს დაანთებდნენ. ცეცხლს ახევე ბოსილშიც დაანთებდნენ. ახალი წლის დამდგეს ამ სამაჯიბისთ

ხედებოდნენ. ახალი წლის პირველი ღამე რომ გატყდებოდა, ოჯახის უფროსი ადგებოდა, ვაჩაღებდა ცეცხლს, დაანთებდა წმინდა საწილებს და მიამარტებდა ხახალზე. აიღებდა დვინოსა და არყის ჭურჭლებს, ვავიდოდა გართე და სახლს საჩქერ შემოჰყვლიდა. შემდეგ შევიდოდა შინ და ახე მიულოცავდა ახალ წელს ოჯახს: — შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთი დღერთი ფეხი ჩემი, კვლი ანგლოწიხისა აიღებდა ხახალს, დადგამდა ცეცხლის პირას. მოყიდებდა ხელს პირაჩაყრელ ქაბს, ჩაშოვლიდა ჯერ კიდევ ლო-

ბდა, მერე საქონელს წელზე ხელს-გადამოსვამდა, ახალ წელს მიულოცავდა: — ახე მთლიანად დაესწარი მრავალ ახალ წელს ჩემო... (იტყუადა საქონლის სახელს: ლომავ, ღურჯავ...), შემდეგ კვერცხებს ცეცხლზე შეწავდა და იქვე შეტებდა.

ამის შემდეგ დაიჭერდა წითელ მამალს, წავიდოდა ვენახში, გასხლავდა სამ ძირ ვახს, ვახის ძირში დაკლავდა მამალს — ბევრი დვინო მოგვიიდესო — ტყუილად ვახს. დაკლულ მამალს სახლში წაიღებდა, მოხარშავდნენ და შეტებდნენ. ოჯახის უფროსი დიასახლისი ადრე დღითი წავიდოდა წყალზე, წაიღებდა კოყას, ერთ მუკა სიზინს ან ქერს, წყალში ჩაყრდა და იტყუა: — წყალე, ეს საყენი შენ, წელელს ბევრი წყრილფეხი (ქათამი, ბატე, ინდაურე) დამეწარლოსო.

ახალ წელს უამრავ წესს იცავდნენ. ცეცხლს არ შეუტრავდნენ — შუცელელ შემოგვეტრებო; თმას არ დავარცხნიდნენ — თხელი ყანა მოგვივაო, მეწოხელი მეწოხებელს არ ნახსახებო! — წი-



გინო მწოლაირე ოჯახის წევრებს, უფროს უმცროსების მიხედვით პირში თითო ლუქმას ჩაუღებდა და იტყუა:

— დაესწარიო მრავალ ახალ წელიწადს როგორც პურისა და დვინის სახელით არ დაიღვთა, ისე თქვენი სახელი არ დაილიოს!

შემდეგ მიუჭებოდა ხახალს, ყველაფერს გემოს გაუსინჯავდა, დვინოსა და არყსაც დააყოლებდა. ოჯახის წევრებიც წამოიშობოდნენ. ვართ ვავიდოდნენ და რომ შემობრუნდებოდნენ, ყველას თითო ნაპერი შეშა შექმნიდა, ცეცხლს შეუკეთებდნენ და იტყუდნენ:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთი დღერთი, ფეხი ჩემი, კვლი ანგლოწიხისა ცეცხლზე შეგდებული შეშა ნაპერწყლების კორიანტელს რომ წამოიშოდა, დააყოლებდნენ:

— ამდენი ძროხა, ამდენი ცხვარი, ამდენი ღორი, ქათამი, ბატე თუ ინდაური გაგვეწარლოსო.

ახალი წლის დილა რომ გათენდებოდა, ოჯახის უფროსი, უკვე შეკვლედი იღებდა კვერცხებს და ბოსილში შევიდოდა, კვერცხებს საქონელს შეუგორებ-

წილას წივილი ეცოდინებოდა და სხვა ხმის გაემის ნაცვლად კარზე ქაბს მარტაქებდნენ. ამ დღეს ერთმანეთთან ოჯახებში არ დადიოდნენ. ახალ წელს შემთხვევით ქუჩაში შეხვედრისას უშლოცავდნენ. საამისოდ წინასწარ ორი გოჯის სიგარტზე დაჭრილი ჩურჩხელები იმ ვაშლები ეცოთ ქაბში. შეხვედრისას გაუწვდნენ და იტყუდნენ — ახე ტაბილა დამიბერდიო.

●ახალ წელს (კალანდობას) ბურიცში ახალ ხედვოდნენ: სახალწლოდ აუცილებლად ახალ ტანისმოსის იძენდნენ. ახალი წლის წინ დაკლავდნენ: ღორს, ინდაურს, მამალს, ბატს, იბეს (მამაკაცები რომ ღორს კლავდნენ, ქაბს პირში მარილი ჰქონდა, ხლო ხელში მუფუჯალი ეტარა. ღორი რომ პირს ვადებდა, ქალი მუფუჯალს ატაკებდა პირში, გვირთული ხორცს ეჭებდა. დკლავდნენ თუ არა ღორს, შედ მამალს წყალავდნენ (მამალს ზვარაკს უძახოდნენ).

ახალი წლის საღამოს მოაწყობდნენ „ცხობის ქრახს“ (ჩიხობის ქრახს). გააშაღებდნენ ჩიხილავს, ზედ დაჰყოლებდნენ: ფორთოხალს, ვაშლს, ორ პურს,

კორიუმის (შავ ქლიავს), თხილს, აბრ-
შუნს, კარავს.
ღლით უველა სხვებზე ადრე აღგო-
მას ცდლობდა (ვინც აღგომას მოსწ-
რებდა, სწამდა, რომ უნას სხვებზე ადრე
დააშუშებდა).

ადგებოდნენ თუ არა, გაბნე დაწ-
ყობდნენ: ქაიას, ღორის ბრქვს, ღორს,
ღვრამჭრს, ოქროს, ვერცხლს. უფროსი
მაჰაჯიცი აიღებდა გობს, გაივლიდა კი-
არში, წინ ჩიჩილას გაიძვრებდა. მ-
ვიდოდა მარაში, მოხლიდა უველაზე დიდ
ჭურს (ჭვერს), ამოიღებდა ღვინოს,
ჭურს სამჭერ შემოვლიდა და დაილო-
ცებოდა. ამის შემდეგ შევიდოდა სახლ-
ში. წინ ჩიჩილავი მიჰქონდა, მერე გობი
და ბოლოს ღვინო (ამაში ოქაბის წვე-
რბინც ეხმარებოდნენ). ოქაბის უფროსი
მიაღებოდა კარს და დაიძახებდა:
— კარი გამოღეთ! — შეივინდა ჰქითხავ-
დნენ:

— რა მოგაქვს? — უნასუბნდა:
— წმინდა ბასილე მობრძანებდა, თან
მოაქვს თეთრი საქონელი, სიცოცხლე
და გამწირლობა.

— კარი გამოღეთ! — დაიძახებდა მე-
ორედ.

— რა მოგაქვს? — ჰქითხავდნენ ხე-
ლახლა.

— ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი!
— კარი გამოღეთ! — დაუძახებდა მე-
სამედ.

— რა მოგაქვს? — ჰქითხავდნენ ისევ.
— ნაშოვარი, მონაგები! — უნასუბნე-
ბდა.

ამის შემდეგ გაუღებდნენ კარს, ერთ-
მანეთს ახალი წლის მიულოდნენ, ბე-
ლში სანთლებს დაიკაბებდნენ და ღო-
ცულობდნენ. შემდეგ გავიდოდნენ გა-
რეთ და სამჭერ ისრადნენ თოვს. მერე
აიღებდნენ წინა დღის დაჭრულ თხმელის
შეშის ღერებს, ხან-სამ ღერს შეიტანდ-
ნენ სახლში, დააყრიდნენ ცეცხლს და
უცქროდნენ, ვისი შეტანაილა მალე და-
იწყებოდა შუამდე. მერე აიღებდნენ,
ტყის ახლიდნენ. ამ ტყის შეინახავდნენ
(მერე მოლუგავდნენ და პირველად გა-
მოჩიქელ წიწილას გააჭერდნენ შვი).
ამის შემდეგ სნა-ვაშას იწყებდნენ.

ღლით ადრე დაიკაბებდნენ ჭეპა ღვი-
ნოს, ნივთადნენ ვაზთან და ბროწეუ-
ლთან, მათ ღვინოს დაუღებდნენ (შეს-
თავაზებდნენ). შემდეგ წავიდოდნენ წი-
რავთ. წიწილის შემდეგ თოვს სრო-
ლით აწყებდნენ მებობლებში ხაირულს.
სალამის გამოიტანდნენ ღორის თავს,
საქუთის პურს, დადებდნენ ჰაგიადაზე.
ახალგაზრდები სუფრას მარანთი წაიდ-
ობდნენ; დღედადნენ საქნახელთან. ერთ-
ერთი აიღებდა ნაწახს, უთო მარცხაპ-
და ხაწნახელს და იტყოდა:

სხვის მამულში ფურცელი, ჩვენს მამ-
ულში უარქმევი; ჩვენს ქალებს კვირის-
თავი, სხვის ქალებს ვირის თავი.
შემდეგ დაიძახებდა:

— აგუნა! — სხვები მიიძახებდნენ:
— ვიცი ვიცი!
— ბახვი, აკანა, იაკუთი, მახვი, მა-
კამე, მისთვის მოვედი!
— აგუნა აგუნა!
— ვიცი ვიცი!
ამის მოჰყვებოდა სიმღერა და პირვე-
ლი იანვარიც გათავდებოდა.

● ხმჯსწირთში ახალი წლის დამდეგს
(წინა საღამოს) „ვერდებულ წურხა“
ერთკვა.

კარგად დაღამებულზე ოჯახში უფ-
როსი (მოხუცებული) ქალი შეიტანდა
წინაწარს კარებთან მიუდებულ შეშის
ნაჭერს, შეადებდა კარებს და დაიძახებ-
და:

— მამიღან ბებერანა! — შეივინდა და-
უძახებდნენ:

— რას გასძახიან? — დღეაბერი უნა-
სუბნებდა:

— ღვინოსა და გახარებას. ტომრით
მომიქვს თხილი და ნივოზი. მომილოც-
ვინა. მრავალი ახალი წელი გამოგეცვა-
ლოთ, მშვიდობისა, ბედისა და დივილა-
თისა, ქალის დროე გათხოვებისა, ვაფის
პოლისა ადრე მოუყვინისა.

შემდეგ შემოტანილი შეშის ნაჭერებს
შუა ცეცხლს დააყრიდა. ერთ შეშის ნა-
ჭერზე (ბებერაზე) უველაზე უმცროსი
ბიჭს დასაბნდა, მიუტანდა ხშილს, რო-
მელზეც უველი და ერბო იდო. პატარა
ბიჭს ღაპარაკი უნდა სცოდნოდა, რად-
გან ბებერაზე დაჭედოდა თუ არა, უნდა
დაეძრებინა: ღმერთი დაღოცყოლო, შენი
მახვეწარნი ვართ... ბევრი წელიწად-
ჭრისბტ გვალოცვინე, მშვიდობისა და გა-
ხარებისა.—ზავივე ჩამოსტებოდა და ხში-
რად შეტანდა. ამის შემდეგ ოქაბის წვე-
რები სავაშეშოდ სხვებდნენ.

ოქაბის მეკვლე ამ დროს ხატში იყო.
ოქაბის წვერები დაიძინებდნენ. დიასახ-
ლისი კი უმძრახად გამოცხობდა პუ-
რებს — სამეკვლესა და ბედისკვერებს
ოქაბის ყველა წვერისათვის. სამეკვლე
პური დიდი იყო, ზედ ჭვარი, კაცი ან
საქონლის გამოხასულება ჰქონდა. ცხო-
ნიდ დროს რომელი ადგილიც მებტად
ამოფუცვებოდა, ოქაბში დამდეგ წელს
იზის მატება იქნებოდა.

დაბრუნდებოდა ხატიდან მეკვლე. ქერ
საქონლის სადგომში შევიდოდა, მერე
სახლში. ოჯახში შესვლისთანავე ხატი-
საქონლი მამოღებულ ჭეჭს (ღლით საუფარს)
ან ლუდსა და მწვანეს ბეზიას ან დედას
მიაწოდებდა. ლუდის საფურას ოქაბის

წვერებს გადააბნებდა, ან ლუდს მისწი-
რებდა და დასძახებდა: ასე აფუფებელი
ყოფილიყავითო.

ოქაბის რომელიმე წვერი სამეკვლე
პურს მიაწოდებდა. მეკვლე პურს სამჭერ
შეგარებდა. თუ პური წაშლა დაცემო-
და, ითვლებოდა, რომ ოქაბის საქმე კა-
რგად წავიდოდა. ამის შემდეგ მეკვლე
თაფლიანი პურით გაუმასპინძლებდ-
ნენ — „დაბებებდნენ“.

● უშავში ახალი წლის წინა დღეს და-
აცხობდნენ დიდ სამეკვლეო პურს, რო-
მელსაც „გოგას“ უწოდებდნენ. ზელოდა
ჭვარს ან ხვსა გამოხასულებას გაუკ-
ნებდნენ. აცხობდნენ აგრეთვე ბასილას
კვერს. ამ კვერს მერე ხარს რკაზე გადა-
სტებებდნენ, ნაწილს თეთრონ შეტან-
დნენ, ნაწილს კი ხარს შეტანებდნენ.

ახალი წლის წინა საღამოს ბუხართან
დაყრიდნენ ნაცრს და სწამდათ, რომ
ღამე და ქრისბტ ღმერთი გავიდოდა ცხე-
ნით და ღლით მის ნაცვლევს ნახაღ-
დნენ.

ახალწელ ღლით ოქაბის უფროსი
აიღებდა ხონჩას, ვავიღოდა გარეთ. თუ
თავიღვინა დედ იყო, ხონჩას თოვლით
ავსებდა, შეიტანდა სახლში, გადააყრიდა
ოქაბის წვერებს და იტყოდა: ასე თეთ-
რად დაბებრდითო. თუ თოვლი არ იყო,
მაშინ ჩაბით სიმინდს შეიტანდა და სი-
მინდს გადააყრიდა. მერე სამეკვლე
გავა პურს სამჭერ შეტანებოდა.

● შემდეგ წყალზე წავიდოდა, თაფლიან
პურს წაიღებდა, ერთ ლუკმას ქვეზე
(წვილის პირს) დაღებდა და იტყოდა: და-
უღლალო წყალო, საკვლეო მოგატანო.

● მთიულეთ-გუდამაქაბში ახალი წლის
წინა საღამოს დააცხობდნენ ბებრის პუ-
რებს, პატარა კვერებს (შუაში ვაშლი
იყო ჩადებული), მერე ცდობს, სახრის,
ძროხის ძმძებნის ფორმის პურებს, აგრ-
ეთვე თხილიან ან კაკლიან ბედისკვე-
რებს.

ახალწელს ღლით ადგებოდა ოქაბის
უფროსი, დანთებდა სანთლებს (იმდენს,
რამდენს მაჰაჯიცი იყო ოქაბში), შუე-
ჩიჩინებდა ცეცხლს და ნაებრწყლებს
რომ ამოცვიდებოდა, იტყოდა:

— ამდენი საქონელი, ქონება და დო-
ვლიათი შეტევიტხოლო.

ოქაბის დიასახლისი უმძრახად ადგე-
ბოდა, სახლს დაგვიდა და პურის ან ქე-
რის მარცხლებს დაუწყებდა ძმძებნის
(ცოცხლი). სერლოთი, რომ რაც მტებს
იპოვინდა, მათ მებტად ხარაქინია წელი
დაუღებოდათ.

ოქაბის უფროსი ვაიტანდა ბედის-
კვერს, აბმევდა ძროხას, ნაყოფიერი იქ-
ნებაო.

შინაგარე დასაქმების შესახებ

(წარჩევილი მიმოხილვა)

● ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში, ე. წ. „პერეკრთობის“ პერიოდში, მასობრივი ლაშქრობა დაიწყო იმ ქართველთა წინააღმდეგ, ვინც შეილებოც რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ამ ფაქტმა უპირველესად პოლიტიკური ხასიათი მიიღო – რუსულსა და რუსებს ებრძოდნენ. შეესაბამისად, მოღალატედ რომ არ მონათლულიყო, არაერთმა ქართველმა გადაიფიცა ქართულ სკოლაში გარუსების გზაზე მდგარი ქართველი ბავშვი. არაერთი რუსული სკოლა დაიხურა ამ მოძრაობის კამპ...
გამოხდა ხანი. დაინერგა საბჭოთა (ანუ რუსული) იმპერია. ვაქრა დაინტერესებაც ამ ფაქტისადმი, სწავლობს თუ არა ქართველი ბავშვი რუსულ სკოლაში... და, საერთოდ, ნაკლებად ექცევა ყურადღება იმას, როგორია ქართული ენის პოზიციები საქართველოს განათლების სისტემაში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენთან მიმართულდა არაქართული სასწავლებლები, დაწყებული საბავშვო ბალებიდან, დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლებით. დაახ. აშკარა განათლების სისტემაში ევროპული ენების მოძალატეა, ე. წ. თურქული უნივერსიტეტის პრობლემა არ იყო გადაჭრილი და ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეა განჩნდა ქუთაისში (ამის თაობაზე არაერთგვისი განაცხადია ქ. ქუთაისის მერმა ბაქტინმა თ. შაშიაშვილმა). ჩვენში მიმამატელობის ძლიერი სენის „წყალობა“ ხვალ-ზეგ ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტები ამოცნენდება; მათ კონტინენტი სამება-რი არ ყოვლიბათ: ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორია ლტოლვა იმ სპეციალობებისაკენ, „საერთაშორისო“ რომ ურევია სახელწოდებაში – საერთაშორისო სამართალი, ურთიერთობები, ეკონომიკა, ბიზნესი, ჟურნალისტიკა... (ამის გამო მოსწრებულად იხურა ერთმა: დაეარქვათ საერთაშორისო მათემატიკა, ფიზიკა და გაიზრდა კონკურსი მისადებ გამოცდებზე...).

ქართველი ზურგს შეაქცევს ქართულს და უცხო ენაზე მიიღებს განათლებას...
ხმამალდა გამოვთქვით აზრი არაქართულენოვან სასწავლებელთა მოჭარბებით მოსალოდნელ საშიშროებაზე, ეს პოლიტიკური შეცდომად ჩავითვალვს და იზოლაციონიზმისაკენ მიმავალ გზად მიიჩნევს აქვეარი პოზიცია ჩვენმა ოპონენტებმა.
არის კი ასე?
საერთოდ, აქვს კი მნიშვნელობა იმას, რა ენაზე მიიღებს განათლებას მოზარდი? ექნებ ინგლისურ თუ რუსულ ენას მეტი შესაძლებლობა აქვს, იტვირთოს განათლების მისი...? აქედან გამომდინარე, ექნებ დროულად ვიფიქროთ და არ დავაგვიანოთ ინგლისური (თუ სხვა) ენის დამკვიდრება ჩვენი სკოლებში სწავლების ენად?.. ექნებ დროზე ვიქვეთ უარი ქართულ ენაზე...
როგორც ჩანს, არ არის ასე...
იაკობ გოგებაშვილს მოეუხმინოთ: „გავივირიათ მეზობელი, რომელიც უზომოდ მონატრებული ყოფილიყოს ხილის უხვი მოსავლისა და ხეხილებისათვის კი ძირდა და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს?... ვადა აველით ახლა ყურადღებით თვალი ჩვენი მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოვებთან არა ერთი და ორი მშობელი, რომელიც ამ შიშისკანი, არ გავივინოს მებაღეს მოგაგონებენ... არა ერთს გაათავილებულს ქართველს სახლობის შეზღუდვა, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზე, ქართულს კი ჭკატინეკ არ იმისი... მშობლები, რომელნიც თავის სწავლებას ზრდიან ვარემე დედაინის გაუღენისა სწვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს... ეს მშობლები დანაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.
იაკობ გოგებაშვილი განმარტავს კიდევაც, თუ რატომ ვიქოვს ასე: „დედა-ენა გარეგნობით როლი ადამიანის არსებასთან შეკავშირებულია. იგი როლი ჰქავს ტრინსამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უკენილად შეიძლება. მას აქვს დრად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში. ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ზედაში“.
დიდი მამულიშვილი იმ შედეგებზეც მივაგანიშნებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს აღზრდის პროცესში დედაენ-



სწავლებელთა მოჭარბებით მოსალოდნელ საშიშროებაზე, ეს პოლიტიკური შეცდომად ჩავითვალვს და იზოლაციონიზმისაკენ მიმავალ გზად მიიჩნევს აქვეარი პოზიცია ჩვენმა ოპონენტებმა.
არის კი ასე?
საერთოდ, აქვს კი მნიშვნელობა იმას, რა ენაზე მიიღებს განათლებას მოზარდი? ექნებ ინგლისურ თუ რუსულ ენას მეტი შესაძლებლობა აქვს, იტვირთოს განათლების მისი...? აქედან გამომდინარე, ექნებ დროულად ვიფიქროთ და არ დავაგვიანოთ ინგლისური (თუ სხვა) ენის დამკვიდრება ჩვენი სკოლებში სწავლების ენად?.. ექნებ დროზე ვიქვეთ უარი ქართულ ენაზე...
როგორც ჩანს, არ არის ასე...
იაკობ გოგებაშვილს მოეუხმინოთ: „გავივირიათ მეზობელი, რომელიც უზომოდ მონატრებული ყოფილიყოს ხილის უხვი მოსავლისა და ხეხილებისათვის კი ძირდა და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს?... ვადა აველით ახლა ყურადღებით თვალი ჩვენი მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოვებთან არა ერთი და ორი მშობელი, რომელიც ამ შიშისკანი, არ გავივინოს მებაღეს მოგაგონებენ... არა ერთს გაათავილებულს ქართველს სახლობის შეზღუდვა, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზე, ქართულს კი ჭკატინეკ არ იმისი... მშობლები, რომელნიც თავის სწავლებას ზრდიან ვარემე დედაინის გაუღენისა სწვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს... ეს მშობლები დანაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.
იაკობ გოგებაშვილი განმარტავს კიდევაც, თუ რატომ ვიქოვს ასე: „დედა-ენა გარეგნობით როლი ადამიანის არსებასთან შეკავშირებულია. იგი როლი ჰქავს ტრინსამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უკენილად შეიძლება. მას აქვს დრად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში. ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ზედაში“.
დიდი მამულიშვილი იმ შედეგებზეც მივაგანიშნებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს აღზრდის პროცესში დედაენ-



ის უგულბებლყოფას: „დედაინის ვაცკლა უცხო ენაზედ (...) ამდაბლებს კაცის ვინებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა (...); იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ ავტონომიასა და მის მტკიცეობას შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი ახადენსამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულთერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნებოდა და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუტუტუტუნად ჩამოტეება...“ დავისობით ეს და ახლა ილია ჭავჭავაძეს მოეუხმონო:

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხედავად ვთხოვლობით დედაინისათვის სრულს და დამოუკიდებელს გზას სასწრაფოებით, ეგ მარტო დედაინის სიყვარულით არ მოგვიდის. ვიხოვლობით და ენატრულობით იმიტომაც, რომ უდევდავინ ვინების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა ვინების გახსნის სახარია კი არ არის, ვინების დანაგვირისა, ვინების დახშვისა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა და განა ეს სახურველია ვისთვისმე?“

ამ თემაზე აკაკი წერეთელსაც უფიქრია. ეხვე წაიკითხოთ და მერე, მკითხველო, ერთად გაავსეთოთ დასკვნა: „უსუსრო ბავშვს რომ რძის ნაცვალად სუკის მწკვანდები დააძალით და დასაკეულ ვაჟკაცს კი რძის მეტი არა მიპაიროთ რა, სწორე მოგახსენიოთ, ვერაფერი მას-პინძობლა იქნება და რგების მაგიერ აწყენს ვიდევაც... ყმანვილს დიდის რძესათით უნდა შეერგოს და შეიწოვოს პირველი დაწყებითი სწავლა... ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლეს თვლი ვაახილობს და გულისყური გაიხსნას იმ ხელსაყრის წყალობით, რომელიც უფრო ეადვილებს, ე. ი. იწყოს სწავლა იმ ენაზედ, რუმელზედაც იმას პირველად ხმა ათოვლია და შეუთვი-სებაა“.

ამ წერილში („ჩვენს მშობლებს“) აკაკი ერთ საგულისხმო ამბავსაც ჰყვება: „ნეტარხსენებულ ვინაციონის დროს ერთმა დივექტორთარანმა კოცეუმე შენიშნა, რომ ქართველს ყმაწვილებში ზოგი დიდს ნიჭს იჩინდა და ზოგი კი სულ უნიჭობას... საშუალოს ვერსად ჰხედავდა. დაუჭირდა და რა გამოიდა! ის, რომელიც დედაინაზე უსწავლა სახლშივე წერა-კითხვა, ქართულით გაეტება თოვლი და გაუნხანა გულის ყური, გაუჭირვებლად გადღაღდა უცხო ენაზე და უცხო ანის წყალობით ადვილად თივისებდა სწავლა-განათლებას. და ვიც პირ-დაპირ იწყებდა უცხო ენის სწავლას, ის კი გულისყურს ჰპირავდა... ეს ჭეშმარიტება დღესაც არ აქვთ შეიგნებული ქართველ დედ-მამებს“. ეს XIX საუკუნეში იწერებდა! ერთ დღე, დღესაც არა აქვთ შეგნებული ქართველ დედ-მამებს ამ ჭეშმარიტების არხი...

ვინმე შეიძლება გვითხრას, ილია, აკაკი და იაკობი XIX საუკუნის მოღვაწენ არიან და მათი აზროვნებაც XIX საუკუნის აზროვნებააო; XXI საუკუნის კარიბჭესთან ამის ქადაგება ჩართყენილობის დასტურია და მუტი არაფერიაო. თქვენს კიდევაც, იოლატიკონიზმისკენ უბიძგებენ ქვეყანას დედაინის ამგვარი ქომაგიობით.

ჯერ ერთი, ის, რასაც ილია, აკაკი და იაკობი ბძძანებდნენ, არ იყო მათი მწერლობრივ ფანტაზიის ნაყოფი; ისინი ბრწყინვალედ იცნობდნენ იმდროინდელ რუს თუ ევროპულ მეცნიერთა ნააზრევს და მხოლოდ იმას ეყვარებოდნენ; ამის ნათელსაყოფად შეიძლება გავისხენით ილიას წერილი იანოვსკის სახასუხოდ, იაკობის „პურჯი ეროვნებისა“ თუ აკაკის „ჩვენს მშობლებს“. სხვაც შეიძლებაოდა, მაგრამ მაგალითისათვის ესეც კმარა... ეს ერთი მხარეა საკითხისა.

ვინც ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და გენეტიკის დღევანდელ მიღწევებს იცნობს, დავვეთანხმება, რომ ის, რის შესახებაც ჩვენი კლასიკოსები XIX საუკუნეში წერდნენ, დღესაც ფასეულია; დღევანდელმა ადასტურებს მის ჭეშმარიტებას, თანამედროვე დონე მეცნიერებისა კიდევ უფრო აღრმავეს და აფართოებს ამ ცოდნას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცნობთ სერიოზულ მტკიცებას საპირისპირო თვალსაზრისისას. რა თქმა უნდა, ევოლუციონიზმით მეცნიერულ მტკიცებას, თორემ არამეცნიერული (ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით შემადგებელი) მსჯელობა რომ სიკეთის არ მოგვიტანს, ნათელია.

გავგივრძელა საუბარი. პრობლემა ასე დავს: განათლების ენა ქართული ბავშვისთვის ქართული უნდა იყოს; არაქართული, რუსული იქნება ის თუ ინგლისური, ეროვნული სიკეთის მომტანი არაა. ცნობილი ცხაზური ანდაზა — რა ზნეხვევაება, მიგლი შეჰკამს ცხვარს თუ მგლისფერი ძაღლიო — ამ შემთხვევაზე ითქმის.

განათლების ენა სახელმწიფო ენა უნდა იყოს; ყოველი კერძო ინიციატივა, რომელიც ამ პოზიციას დაუპირისპირდება, დამღუპველია ქვეყნისთვის. რაც დღობზე აუტეტიტ განაგავს და მივხედავთ საქმეს, მათ მეტი სიკეთე მოუვა ჩვენს ეროვნულ ყოფას. ამ საქმის მოგვარების გზები საძებნი არაა, მონდომებაა საჭირო და კიდევ იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელსაც ქმნიან ისინი, ვინც თვითნებ იჯობის თუ კუჭის ინტერესებიდან გამომდინარე იგონებს ათასნაირ ლიცეუმებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს... სამწუხაროდ, ეს დაბრკოლებები არაა იოლად დასაძლევია. ამის მაგალითად ე. წ. თურქული უნივერსიტეტიც გამოდგებაო: იგავი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, რექტორთა საბჭო და, საერთოდ, ინტელექტუალური საქართველო იბრძვის მის ვასუტეშელად, მაგრამ არსებობს რადღაც ძალა, რომელიც უპირისპირდება ამ საღაზრს და იმარჯვებს! (იმედია, ეს გამარჯვება დროებითია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვაიმედებენ...)

დროა, დავექრდეთ. XXI საუკუნის საქართველოს ინტერესები ვევაადლებულბებს, ღირსი პატივი მივაგოთ ქართულ ენას.

კი, პატრონო, პატივი ვცეთ რუსულს, ინგლისურს, გერმანულს, ჩინურს, მაგრამ დედაინის ინტერესები არ შევლახნოთ ამით. ჩვენს ქართველებს უთბავრის ბურ-შე — ქართული ენა — არ გამოვაცალათ. არადა, გზა — არაქართული ენის დამკვიდრებისა — ამას გვიქადის...

ბიორბი გიორგიაშვილი,

ფილოლოგიის მდინიციმბათა დოქტორი, პროფესორი.

რამდენიმეხანს: ეს მახალა მზად იყო დასახედრად. როცა გამოქვეყნდა პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს ენის სახელმწიფო აკადემიის შექმნის შესახებ, პალატი, იმედია, ამ წერილში დასმულ პრობლემებსა სათანადო ყურადღებს დაუთმობს.



გიორგი რომაქიძე

და პქონდა კიდეც ამის საფუძველი. იგი საქართველოში მიაზროვნე ელიტის მეტრად ითვლებოდა და როგორც ყოველ ავტორიტეტს, ხან ღირსეულად, ხანაც უღირსად ებრძოდნენ, ერთ ხანს გრიგოლ რომაქიძე კომპრომისზეც წავიდა და დაწერა კიდეც სოციალისტურ მოტივზე საკმობა უფერული დრამა „სულგა“. ასევე კომპრომისის ტოლფარდად ჩაუთვალეს მას გადახვეწილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა მცირე მოცულობის ექსე „ვი. ი. ულიანოვ-ლენინი“. ეს ნაშრომი გრიგოლ რომაქიძე

ქიძეს აჩრდილი კაცისა, რომელიც იგი „ჯუღა-ად უზნობს.“

რობაქიძისეული „სტალინის პორსუბი“ ისევე მიზიდველად არის დაწერილი, როგორც „ვი. ი. ულიანოვ-ლენინი“. მასში მოცემულია ტროცკის პიროვნების საინტერესო ანალიზი სტალინიან მიმართებაში. მსგავლობა იოსებ სტალინზე იწყება მისი წარმოშობით. მწერლის მიზანმიმართული, „მამამისი მეწაღე იყო, ლითი, ბოლშეიანი და სასტიკი. დედამისი — მეკრავი, წყნარი, მორჩილი და გულმოწყაღე ქაღი. როცა დათვრებოდა მამა, სცემდა დედას. სცემდა ერთადერთ პატარა ვაჟსაც. მათ ქონში მეფობდა სილაბაკე, ცოფიანის ღირბლი და ცრემლი. თეთი ცხოვრებისეული საამებების შეგრძნება დაუკარგავს მამობის უარმყოფელს და სამუდამოდ გამხდრდა „ცივი, მტიკცე და პირქუში“.

გრიგოლ რომაქიძე ვერ უარყოფს სოსო ჯუღაშვილის პოეტურ ნიჭს, მაგრამ რადგანაც სიყვარული და ლირიულობა აკლია, ვერასოდეს შექმნისა შედეგებს. „პოეტურ ზარბოშს არასოდეს აუჩქროლებია სტალინის გული, თუმცა მოწაფეობას საეპისკოპოსო გუნდში აბ-

სულგა

● გრიგოლ რომაქიძე ერთ-ერთი უპირველესი მიაზროვნე იყო, რომელმაც პირადად იწვინა ბოლშევიზმის დამთრგუნველი ზემოქმედება, გაერიდა მას და სხვა სამეაროღან შეეცადა მის არსში გარკვეულიყო. არა აქვს მნიშვნელობა, რა ნიუანსებმა გამოიწვიეს მისი ემიგრაციაში წასვლა, იყო ეს ძალდატანებითი თუ ნებაყოფლობითი — ერთი რამ ცხადია: მწერალს ჰპერიეით სჭირდებოდა თანამედროვე კატაკლიზმებზე ძალდატანებელი და თავისუფალი აზროვნება. რომაქიძის თანამედროვე ყოფა გაუფენილი იყო ევლური, მამაკაცური, რევოლუციური სულისკვეთებით. მწერლის აზრით, კომიურ-მისტიური მოვლენა ხდებოდა, ღმერთებს ისევე მოსწეურებოდათ სისხლი. სისხლი ღვთის მიამებით ეშმაკსაც სწეუროდა და გრიგოლ რომაქიძის „ჩაკულდი სულის“ ინტერპრეტაციით, ბოლშევიზმი სწორედ ეშმაკისეული მოვლენა იყო. ხოლო ამ დემონურ მასიურ ფერხულს „ჯუღა“ — სტალინი მეთაურებადა.

გრიგოლ რომაქიძე ამაყი და თაემოყვარე პიროვნება გახლდათ



მისათვის წმინდა ეროვნული კუთხითაც საინტერესოა, როგორც მოძღვარი „ღვინისა და თრობის ქვეყნიდან მოსული“ იოსებ სტალინისა, რომელშიც არაფერი დარჩა ილიასაგან ზეღლასხმული უნიჭიერესი მელექსისი — არც რასიული ელემენტი და არც მოშაირე — ლექსის-მთხვეველის სიღბო. ბედისწერასავით დასდევს გრიგოლ რომა-

რემუმიეით რბილი ალტით გალობდა. ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო — ასეთ ანგელოზს ჯერ კიდეც ძალუღს მომაჯადოებლად გალობა. სტალინმა ლექსის თხზვაც კი სცადა — შესაძლოა, პატრიოტული-საც — მაგრამ იმავე დროს ეს პერანტოსაც სწავლობდა: მამინ უკვე სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეოცი-



წებულისა“ აქ შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ „ლექსის თხზვაც კი სცადა“ ზედმეტად შეკარნათქვამია, რადგან „ვარდს გუჟურჩქნა კოკორი“-ს ავტორის პოეტური ნიჭი ამგვარ განსვას არ ექვემდებარება.

გრიგოლ რაბაქიძე მაქსიმალურად ცდილობს იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი. იგი თავის თანამედროვეს მუქი, სასტიკი სიტყვებით ახასიათებს. ჩვენც არ უნდა დავუკარგოთ ტანჯულ მწერალს ეს მონღოებმა და ვუთანხმებით თუ არა, მაინც უნდა ჩავენდეთ მის ტკივილს: იგი ხომ ქართული რასის და ჯიშის საუკეთესოთა განადგურებას შეესწავრო 1924 წელს. რაბაქიძე იძულებული იყო, ჩაეკლა ეს ტკივილი, ოფიციალური თანამდებობაც კიონდა ბოლშევიკების დროს და მხოლოდ ემიგრირებულს მივიტოვებინა გული 30-იანი წლების გერმანიაში.

იოსებ სტალინი, მისი აზრით, მარტოვლია, რომლისთვისაც ყოველთვის მიუწვდომელი იყო „დიონისური თრია“ ქართული ღვინისა. ვინც იცის, თუ რა არის დიონისო რაბაქიძის თაობის ინტელექტუალითაობის, ის უძალ მიხედვდა, როგორი სასტიკი და საცოდავია ასეთი პიროვნება. ე. ა. იგი საპირისპიროა დიონისოსა ანუ არის პატივის სულიანი. ფაქტიურად ასეთი ადამიანი (თუკი იგი არსებობს ბუნებაში) ოდნავადკ ვერ შეიხლება ცხოვრებას და თვით ცხოვრებაც გვერდს უვლის მას. „სტალინის სტიქია მასა იყო: აა, ხად იყო იგი ნაღდი. ფინეთის კლდოვანი სანაპიროდან კოლხეთის ზღვისპირეთამდე ორგანულ ერთობას გრძნობდა მასებთან“. და მიუხედავად ამისა, სტალინი არ იყო ამ მასასთან გათვისებული. იგი განსაკუთრებული პიროვნებაა. გრიგოლ რაბაქიძე მრავალთაგან ერთ მაგალითს წარმოვივიჩენს: „სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელმეუბნებლად ინახავდა შინაგან არსებას. მაგარმ თავდაცვის სხვა ხერხიც კიონდა: სინამდვილის გაბანარება. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური პატიმრება აიძულეს როზგაბომბარჯებული ჯარისკაცების მწკრივებს შორის გაეყვლინა. სტალინიც გაიარა მაგარმ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა—უთუოდ მაქსისტიკული—კითხულობდა და ისე მიაბიჯებდა, ოთქქის მას არაფერი ექუ-

ბოდა. დამჯავლების აბუნად ავდებით საკუთარი პიროვნება მორალური შეურაცხყოფისაგან იხსნა. აქ უკვე ნაპოვნი ჰქონდა თავისი ნამდვილი სტიქია“.

